ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

საუნივერსიტეტო ფონდის მარეგულირებელი წესები

დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის
2022 წლის 22 ივნისის N1-22/153
ბრძანების საფუძველზე

მუხლი 1. საუნივერსიტეტო ფონდის ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე რეგულაციის მიზანია განსაზღვროს საუნივერსიტეტო ფონდის (შემდგომში ფონდი) შექმნის, ფონდის წყაროების, მიზნობრივი განკარგვისა და საუნივერსიტეტო ფონდთან დაკავშირებული სხვა საკითხების მარეგულირებელი წესები.

1.2 საუნივერსიტეტო ფონდი დამოუკიდებელია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ძირითადი საქმიანობისგან და ფონდში არსებული ფინანსური რესურსები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული მიზნებისთვის.

1.3 საუნივერსიტეტო ფონდი იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის უფლებამოსილებასაც განეკუთვნება:

1.3.1 ფონდის მარეგულირებელ წესებში შესატანი ცვლილებების/დამატებების დამტკიცება;

1.3.2 ფონდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურულ ერთეულის/პირებს განსაზღვრა და დამტკიცება;

1.3.3 სტუდენტური პროექტების განხორციელების მიზნით საპროექტო კონკურსის გამოცხადება, მისი პირობების განსაზღვრა და საკონკურსო კომისიის შექმნა;

1.3.4 სასწავლო/კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების გზით სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ მიღებული შემოსავლის საუნივერსიტეტო ფონდში შეტანის დამტკიცება;

1.3.5 ფონდის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

1.3.6 ფონდში არსებული ქონების მიზნობრივი განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

1.4 ფონდი თავის საქმიანობას წარმართავს სამართლიანობის, თანასწორობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

1.5 წინამდებარე რეგულაციით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დაფინანსების გაცემა წარმოადგენს უნივერსიტეტის უფლებამოსილებას (დისკრეციას) და არა ვალდებულებას. დაფინანსების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფონდში არსებული თავისუფალი ფინანსური რესურსების, პრიორიტეტებისა და საკონკურსო პირობების გათვალისწინებით. აღნიშნული გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

1.6 საუნივერსიტეტო ფონდს აქვს საკუთარი საბანკო ანგარიში. საუნივერსიტეტო ფონდში თანხის შეტანა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

მუხლი 2. საუნივერსიტეტო ფონდის წყაროები

2.1 საუნივერსიტეტო ფონდი მოიცავს წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული წესის შესაბამისად მიღებულ ფინანსურ რესურსს, რომელიც განთავსებული უნდა იყოს საუნივერსიტეტო ფონდის ანგარიშზე.

2.2 საუნივერსიტეტო ფონდის წყაროებია:

2.2.1. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (შემდგომში - შემომწირველ(ებ)ი) შემოწირულებები;

2.2.2. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსი;

2.2.3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო/კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების გზით სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ მიღებული შემოსავალი;

2.2.4. სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავალი;

2.2.5. სხვა სახის შემოწირულება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2.3 წინამდებარე მუხლის 2.2.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი ვალდებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს წერილობითი განცხადება სასწავლო კურსის ფარგლებში ერთობლივი პროექტის განხორციელების გზით სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ მიღებული შემოსავლის ოდენობისა და საუნივერსიტეტო ფონდში მისი შეტანის შესახებ, რომელსაც უნდა ერთვოდეს კურსის განმახორციელებელი ლექტორის ხელმოწერა.

2.4 უნივერსიტეტის რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებისა და წინამდებარე მუხლის 2.3 პუნქტის შესაბამისად, გამოსცემს ბრძანებას საუნივერსიტეტო ფონდში შესაბამისი თანხის შეტანის შესახებ.

მუხლი 3. საუნივერსიტეტო ფონდის მართვა

3.1. საუნივერსიტეტო ფონდს ადმინისტრირებას უწევს უნივერსიტეტის ფინანსური სამსახური.

3.2. უნივერსიტეტის ფინანსური სამსახური პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო ფონდში არსებული ფულადი რესურსების მიზნობრივ განკარგვაზე და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

მუხლი 4. საუნივერსიტეტო ფონდის მიზნობრიობა

4.1. საუნივერსიტეტო ფონდში არსებული ფინანსური რესურსი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი მიზნებისათვის:

4.1.1. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა/თანამშრომელთა სწავლის დასაფინანსებლად;

4.1.2. უნივერსიტეტის მიერ კვლევითი ან სხვა ტიპის პროექტების განსახორციელებლად, მათ შორის, სტუდენტური პროექტების განხორციელებისთვის;

4.1.3. საუნივერსიტეტო კლუბების (საგანმანათლებლო, კულტურული, გარემოსდაცვითი და ა.შ.) დასაფინანსებლად;

4.1.4. უნივერსიტეტის სხვა საჭიროებებისთვის, რომელიც დაკავშირებულია მის საგანმანათლებლო/კვლევით საქმიანობასთან.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ შემომწირველი ფიზიკური/იურიდიული პირი წერილობით განსაზღვრავს ფონდში ჩარიცხული სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიზნობრიობას, ფონდი აღნიშნულ ფინანსებს განკარგავს მხოლოდ შემომწირველის მიერ მითითებული პირობებისა და მიზნების შესაბამისად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემოწირულობისას კონკრეტული მიზნობრიობა არ არის განსაზღვრული, ფონდი უფლებამოსილია შემოწირული სახსრები გამოიყენოს უნივერსიტეტის ორგანიზაციული, სასწავლო ან/და კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე.

4.3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა შესაძლებელია მოიპოვონ უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სხვადასხვა სახის დაფინანსება. დაუშვებელია სხვადასხვა დაფინანსებით განსაზღვრული ჯამური თანხა აღემატებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის წლიურ ღირებულებას.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსით სტუდენტთა სწავლის საფასურისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი

5.1. უნივერსიტეტში მოქმედებს დაფინანსების შემდეგი სისტემა:

5.1.1. დაფინანსება პირველი არჩევანის საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტებისთვის;

5.1.2. სარეიტინგო დაფინანსება საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთათვის;

5.1.3. დაფინანსება სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის;

5.1.4. სხვა ინდივიდუალური დაფინანსებები.

5.2. უნივერსიტეტის სკოლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაბამის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთჯერადი დაფინანსება უნივერსიტეტში ჩარიცხულ იმ პირველკურსელთათვის, რომლებმაც პირველ ნომრად აირჩეს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა. დაფინანსების მოცულობა სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ ყოველწლიურად საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებით განისაზღვრება ინდივიდუალურად.

5.3. უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მოქმედებს სარეიტინგო დაფინანსება, რომელიც განისაზღვრება სტუდენტების აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე. სარეიტინგო დაფინანსების დაანგარიშების წესი, გაცემის პერიოდულობა, დაფინანსების ოდენობა და სარეიტინგო დაფინანსებასთან დაკავშირებით სხვა საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე სტუდენტის წარდგინებას სარეიტინგო დაფინანსების მინიჭების შესახებ, ახორციელებს შესაბამისი სკოლის დეკანი. წარდგინებას განიხილავს და შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

5.4. სხვა ინდივიდუალური დაფინანსება შესაძლოა გავრცელდეს უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, შემდეგ პირებზე:

5.4.1. უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებზე;

5.4.2. უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებზე;

5.4.3. დებზე, ძმებზე ან და-ძმებზე უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის შემთხვევაში;

5.4.4. სხვა ცალკეულ შემთხვევაში, რექტორის გადაწყვეტილებით.

5.5. წინამდებარე მუხლის 5.4 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა არ აღემატება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის ყოველწლიური საფასურის 10%-ს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელსაც იხილავს და შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

5.6. სტუდენტის წარდგინებას წინამდებარე მუხლის 5.4 პუნქტით განსაზღვრულ დაფინანსებაზე ახორციელებს სკოლის დეკანი/სოფლის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ხოლო, დაფინანსების მიღებას და განსაკუთრებულ შემთხვევებში დაფინანსების ოდენობას, განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი ბრძანების გამოცემის საფუძველზე.

5.7. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსით სტუდენტური პროექტების დაფინანსება ხორციელდება წინამდებარე რეგულაციის მე-6 მუხლით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 6. შემომწირველთა მიერ შემოწირული თანხებით სტუდენტთა სწავლის საფასურისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი

6.1. ფონდში შემომწირველთა მიერ შემოწირული თანხებით სტუდენტთა სწავლის საფასურისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსება ხორციელდება შემდეგი პრინციპით: თუ თანხა შემოწირულია კონკრეტული პირობის/მიზნის გარეშე, იგი გამოიყენება მათ შორის (თუმცა არა მხოლოდ) სტუდენტთა სწავლის საფასურისა და სტუდენტური პროექტების სრულად/ნაწილობრივ დასაფინანსებლად.

6.2. წინამდებარე მუხლის 6.1 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების მიღების მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე ცხადდება კონკურსი, რომლის ვადები და სხვა პირობები ასევე განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. კონკურსი ცხადდება წელიწადში ორჯერ: სექტემბერსა და თებერვალში.

6.3. დაფინანსების საკითხებს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია (შემდგომში - კომისია), რომლის უფლებამოსილების ვადაა 1 (ერთი) წელი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ყოველი წლის სექტემბერში. კომისიის შემადგენლობაში წარმოდგენილი უნდა იყოს:

6.3.1. უნივერსიტეტის თითოეული სკოლის დეკანი;

6.3.2. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

6.3.3. უნივერსიტეტის თითოეულ სკოლასთან აფილირებული მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალი;

6.3.4. უნივერსიტეტის ერთი კურსდამთავრებული;

6.3.5. სხვა ნებისმიერი უნივერსიტეტთან აფილირებული პირი, რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.4 დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ პლატფორმაზე უნდა ატვირთოს დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს (ასეთი საჭიროების შემთხვევაში):

6.4.1. აკადემიური მოსწრება: სტუდენტის აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი მაჩვენებელი (GPA);

6.4.2. სოციალური სტატუსი/საჭიროება: წინამდებარე რეგულაციის მე-7 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები.

6.4.3. სპეციალური სტატუსი: წინამდებარე რეგულაციის მე-7 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები;

6.4.4. საუნივერსიტეტო აქტივობა: სტუდენტის ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მათ შორის მონაწილეობა კონფერენციებში, პროექტებში, სტუდენტურ თვითმმართველობასა თუ სხვა კლუბურ/მოხალისეობრივ აქტივობებში;

6.4.5. სტუდენტური პროექტის დაფინანსების შემთხვევაში სტუდენტმა დამატებით უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება, რომელშიც აღწერილი იქნება სტუდენტური პროექტის მიზანი, ხანგრძლივობა, ბიუჯეტი და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

6.4.6. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან, აპლიკანტ(ებ)ს მოსთოხოვონ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

6.5. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ განსახილველი საკითხი ეხება მის ახლო ნათესავს ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას.

6.6. დისციპლინური სახდელის მქონე სტუდენტს, სახდელის მოქმედების ვადით, ეზღუდება წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დაფინანსების მიღების უფლება.

6.7. საუნივერსიტეტო ფონდიდან დაფინანსების გაცემის შესახებ სპეციალური კომისიის მიერ სარეკომენდაციო დასკვნა მომზადებულ უნდა იქნას კონკურსის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.8. სპეციალური კომისია საუნივერსიტეტო ფონდიდან დაფინანსების გაცემის მიზნობრიობის შესახებ სარეკომენდაციო დასკვნას, წერილობითი ფორმით, დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სარეკომენდაციო დასკვნის წარდგენიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში. რექტორის ბრძანება 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში ეგზავნება უნივერსიტეტის ფინანსურ სამსახურს.

შენიშვნა: წინამდებარე მუხლი ვრცელდება იმ სტუდენტებზე/პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან 2026-2027 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში და შემდგომ.

მუხლი 7. დაფინანსება სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის

7.1. წინამდებარე მუხლის მიზანია, განსაზღვროს სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შემთხვევაში მათი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

7.2. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის დაფინანსება მოქმედებს:

7.2.1. სოციალურად დაუცველ პირებზე;

7.2.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე;

7.2.3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებზე;

7.2.4. ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებზე/ოჯახის წევრებზე.

7.3. აღნიშნული დაფინანსება ატარებს ერთჯერად ხასიათს და ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და პროფესიული ტესტირების საფუძველზე.

7.4. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, აღნიშნული დაფინანსება ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც წინამდებარე მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ ჯგუფების წარმომადგენლებს შორის აქვთ ყველაზე მაღალი ქულა/შეფასება (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, უმაღლესი ქულა/შეფასება დაანგარიშდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით).

7.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, აღნიშნული დაფინანსება ვრცელდება იმ პროფესიულ სტუდენტზე, რომელსაც წინამდებარე მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული ჯგუფების წარმომადგენლებს შორის, პროფესიული ტესტირების საფუძველზე, რეიტინგულ სიაში აქვს ყველაზე მაღალი ქულა/შეფასება.

7.6. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის განსაზღვრულ დაფინანსების მოცულობას, ინდივიდუალურად, საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, ადგენს შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო. ხოლო პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

7.7. სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა, რომელიც განეკუთვნება წინამდებარე წესის მიხედვით განსაზღვრულ ჯგუფებს, დაფინანსების მოპოვების მიზნით, უნივერსიტეტში სხვა სტანდარტულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

7.7.1 სოციალურად დაუცველმა პირებმა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის უნივერსიტეტში წარმოდგენამდე არაუადრეს 2 თვისა;

7.7.2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ფორმა №50/II (ასლი);

7.7.3 ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;

7.7.4 ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებმა/ოჯახის წევრებმა - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ პირთან ოჯახური კავშირი.

7.8. ყოველი სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე, უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერი, რექტორს წარუდგენს ინფორმაციას იმ სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომლებმაც წინამდებარე წესის შესაბამისად მოიპოვეს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის დადგენილი ერთჯერადი დაფინანსება. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას.

მუხლი 8. ფონდის საქმიანობის ანგარიშგება და საჯაროობა

8.1. ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში, არაუგვიანეს 15 სექტემბრისა, ფონდი ვალდებულია მოამზადოს და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს წინა აკადემიური წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც მოიცავს პერიოდს 1 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

8.2. საქმიანობის ანგარიში უნდა ასახავდეს ფონდის მიერ განხორციელებული ყველა სახის მოქმედებასა და საქმიანობას, მათ შორის ინფორმაციას დაფინანსების პროგრამების, მიღებული და გაწეული ფინანსური რესურსების, განხორციელებული პროექტებისა და სხვა შესაბამისი აქტივობების შესახებ.

8.3. ანგარიშში ასევე უნდა იყოს წარმოდგენილი მონაცემები ფონდის მიერ დაფინანსებული სტუდენტების, აგრეთვე შემომწირველთა შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ შემომწირველთა მიერ გაცემულია წინასწარი წერილობითი თანხმობა მათი ვინაობის გასაჯაროებაზე.

8.4. ფონდის საქმიანობის ანგარიში საჯაროა და მისი გამოქვეყნება უზრუნველყოფს ფონდის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე რეგულაციით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემების (მათ

შორის - განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების) დამუშავებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.

9.2. წინამდებარე რეგულაცია ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის მიერ საუნივერსიტეტო ფონდის მარეგულირებელი წესების დამტკიცების შესახებ ბრძანების ხელმოწერისთანავე.

9.3. საუნივერსიტეტო ფონდი და წინამდებარე რეგულაცია შესაძლებელია გაუქმდეს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

9.4. საუნივერსიტეტო ფონდის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ფონდში არსებული რესურსები, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მოხმარდეს წინამდებარე რეგულაცია მიხედვით უკვე დაწყებული პროექტების დასრულებას.

9.5. წინამდებარე რეგულაციის რომელიმე პუნქტის ბათილობა გავლენას არ ახდენს რეგულაციის დანარჩენი დებულებების ბათილობაზე.

9.6. წინამდებარე რეგულაციაში ცვლილებები და დამატებები შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.